ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 09-103/1

ქ. თბილისი „01“ „09“ 2011 წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში – „შემსყიდველი“) – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,** წარმოდგენილი **მინისტრის მოადგილის გიორგი ჩახნაშვილის** სახით (შემდგომში - “შემსყიდველი”) და მეორე მხრივ **შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ქართული ბიოგრაფიული ცენტრი” დირექტორის თინათინ მამულაშვილის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის” (ორგანიზაციული კოდი: 32 14 18) დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას **სასკოლო სახელმძღვანელოების** (დანართის შესაბამისად) **შესყიდვის (CPV 221120004)** მიზნით.

3. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების **საერთო ღირებულება შეადგენს 395431. 54 (სამასოთხმოცდათხუთმეტი ათას ოთხასოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარს.**

4.2 სახელმძღვანელოების დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მითითებულია დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. საქონლის მიწოდების ვადა

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი არაუგვიანეს 2011 წლის 30 სექტემბრისა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით, შემსყიდველს შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.
6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. „მიმწოდებელითან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.
7.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 7.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 60 კალენდარული დღის ვადაში.
7.4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
8.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**
9.1.1 დადგენილ ვადაში 3.1 პუნქტის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.
9.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
9.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**

9.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
9.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
12.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელი" დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით
14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კონტროლის ჯგუფი.
15..2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.
15.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
15.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
15.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) საქონლის მიწოდებით..
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 ნოემბრამდე.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ქართული ბიოგრაფიული ცენტრი"
მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52	მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 75/3
სახელმწიფო ხაზინა	ტელ: 910954; 911165;
კოდი: 220101222	ს/ს "პროკრედიტ ბანკის" ცენტრალური ფილიალი
ა/ა 200122900; ს/კ №202051224	ბანკის კოდი №MIBGGE22
	ა/ა GE32PC0133600100037192
	ს/კ № 204931164
მინისტრის მოადგილე	დირექტორი
გიორგი ჩახნაშვილი	თინათინ მამულაშვილი

	კლასი	სექტორი	კოდი	საგანი	ავტორი	რაოდენობა	მოსწავლის წიგნის ფასი (ერთეულის)	მოსწავლის წიგნების ფასი (ჯამური)	მოსწავლის რვეულის ფასი (ერთეულის)	მოსწავლის რვეულის ფასი (ჯამური)	დამატებითი რესურსი (გითხოვთ მიუთითოთ, მაგ. ტესტები, CD, და სხვ.	დამატებითი რესურსის ფასი (ერთეულის)	დამატებითი რესურსის ფასი (ჯამური)	სულ ჯამური ფასი
1	1	აზერბაიჯანე	255	ბუნებისმეტყველება	გ. კვანტალიანი	43	7	301		0			0	301
2	1	რუსული	310	ბუნებისმეტყველება	გ. კვანტალიანი	13	7	91		0			0	91
3	1	სომხური	406	ბუნებისმეტყველება	გ. კვანტალიანი	14	7	98		0			0	98
4	1	ქართული	23	ბუნებისმეტყველება	ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გ. კვანტალიანი	3399	5.95	20224.05		0			0	20224.05
5	1	ქართული	14	ქართული ენა და ლიტ.	ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუბიანიძე	1034	5.1	5273.4	2.13	2202.42	წერის დედანი	1.28	1323.52	8799.34
6	2	აზერბაიჯანე	265	ბუნებისმეტყველება	გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი	66	7	462		0			0	462
7	2	რუსული	319	ბუნებისმეტყველება	გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი	60	7	420		0			0	420
8	2	სომხური	417	ბუნებისმეტყველება	გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი	25	8	200		0			0	200
9	2	ქართული	32	ბუნებისმეტყველება	ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გ. კვანტალიანი	5058	5.1	25795.8		0			0	25795.8
10	2	ქართული	32	ბუნებისმეტყველება	ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გ. კვანტალიანი	5058		0	2.55	12897.9			0	12897.9
11	2	ქართული	15	ქართული ენა და ლიტ.	ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუბიანიძე	1424	5.95	8472.8	2.55	3631.2			0	12104
12	3	ქართული	33	ქართული ენა და ლიტ.	ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუბიანიძე	1390	6.8	9452	1.7	2363			0	11815
13	3	ქართული	33	ქართული ენა და ლიტ.	ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუბიანიძე	1390		0		0	არდადეგებზ ე სამუშაო	1.7	2363	2363
14	3	ქართული	42	ბუნებისმეტყველება	ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გ. კვანტალიანი	4845	5.95	28827.75	2.55	12354.75			0	41182.5

15	4	ქართული	50	ქართული ენა და ლიტ.	ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუხიანიძე	1506	6.8	10240.8	1.7	2560.2			0	12801
16	4	ქართული	65	ბუნებისმეტყველება	ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გ. კვანტალიანი	4962	5.95	29523.9	2.55	12653.1			0	42177
17	5	ქართული	51	ქართული ენა და ლიტ	ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუხიანიძე	1424	6.8	9683.2	1.7	2420.8			0	12104
18	5	ქართული	61	ბუნებისმეტყველება	ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გ. კვანტალიანი	5050	5.95	30047.5	2.55	12877.5			0	42925
19	6	ქართული	77	ქართული ენა და ლიტ.	ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, თ. კუხიანიძე	1504	7.65	11505.6		0			0	11505.6
20	6	ქართული	88	ბუნებისმეტყველება	ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გ. კვანტალიანი	5172	5.95	30773.4		0			0	30773.4
21	6	ქართული	88	ბუნებისმეტყველება	ლ. მიქიაშვილი, მ. ბლიაძე, რ. ახვლედიანი, დ. კერესელიძე, გ. კვანტალიანი	5119		0	2.55	13053.45			0	13053.45
22	7	ქართული	81	ქართული ენა და ლიტერატურა	ბ. სულაკაური, თ. ქიტოშვილი	332	9.9	3286.8		0			0	3286.8
23	7	ქართული	81	ქართული ენა და ლიტერატურა	ბ. სულაკაური, თ. ქიტოშვილი	332		0	3.9	1294.8			0	1294.8
24	7	ქართული	87	მათემატიკა	გ. ბერიშვილი, ს. ხაჟომია	10	5.9	59		0			0	59
25	7	ქართული	89	მათემატიკა I და II ნაწილი	ნ. ჯაფარიძე, მ. წილოსანი, ნ. წულაია	56	12	672	3.9	218.4			0	890.4
26	7	ქართული	104	გეოგრაფია	დ. კერესელიძე, გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე	468	7.9	3697.2		0			0	3697.2
27	7	ქართული	112	ისტორია	ნ. ასათიანი, ნ. კვიტაიშვილი, ქ. ჯანუაშვილი	247	7.9	1951.3		0			0	1951.3
28	7	ქართული	126	სამოქალაქო განათლება	მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია, ნ. კვიტაიშვილი, ქ. ჯანუაშვილი	22	4.9	107.8		0			0	107.8
29	8	ქართული	108	ქართული ენა და ლიტერატურა	ბ. სულაკაური, თ. ქიტოშვილი	456	9.9	4514.4		0			0	4514.4
30	8	ქართული	119	მათემატიკა	გ. ბერიშვილი, ს. ხაჟომია	10	5.9	59		0			0	59
31	8	ქართული	407	საქართველოს და მსოფლიოს გეოგრაფია	დ. კერესელიძე, მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია	834	10.9	9090.6		0			0	9090.6
32	9	ქართული	131	ქართული ენა და ლიტერატურა	ნ. გორდელაძე, თ. ქიტოშვილი, ბ. სულაკაური	438	9.9	4336.2		0			0	4336.2
33	9	ქართული	146	საქართველოს გეოგრაფია	დ.კერესელიძე, ზ.სეფერთელაძე, გ.ჭანტურია, მ.ბლიაძე	713	9.9	7058.7		0			0	7058.7
34	10	აზერბაიჯანუ	343	ისტორია	ნ. კიღურაძე, ლ. ფირცხალავა, ც. ჩიკვაიძე	34	7	238		0			0	238
35	10	რუსული	402	ისტორია	ნ. კიღურაძე, ლ. ფირცხალავა, ც. ჩიკვაიძე	17	7	119		0			0	119
36	10	სომხური	464	ისტორია	ნ. კიღურაძე, ლ. ფირცხალავა, ც. ჩიკვაიძე	12	7	84		0			0	84
37	10	ქართული	199	ქართული ენა და ლიტერატურა	ნ. ნაფეტვარიძე, მ. ნებიერიძე, თ. ქიტოშვილი	166	9.9	1643.4		0			0	1643.4
38	10	ქართული	221	მათემატიკა	ნ. ჯაფარიძე, მ. წილოსანი, ნ. წულაია	37	9.9	366.3		0			0	366.3
39	10	ქართული	221	მათემატიკა	ნ. ჯაფარიძე, მ. წილოსანი, ნ. წულაია	37		0	3.9	144.3			0	144.3
40	10	ქართული	239	ისტორია	ნ. კიღურაძე, ლ. ფირცხალავა, ც. ჩიკვაიძე	175	5.9	1032.5		0			0	1032.5
41	10	ქართული	251	სამოქალაქო განათლება	ი. პეტრიაშვილი, თ. ბრეგვაძე	514	6.9	3546.6		0			0	3546.6

42	10	ქართული	202	ძვ. ქართული ენა და ლიტერატურა	ნ. მუზაშვილი, ნ. ჩუბინიძე	159	10.9	**1733.1**		**0**		0	**0**	**1733.1**
43	11	ქართული	195	ქართული ენა და ლიტერატურა	თ. ქიტოშვილი, მ. ნეზიერიძე, ნ. ნაფეტვარიძე	101	13.9	**1403.9**		**0**			**0**	**1403.9**
44	11	ქართული	208	საქართველოს და მსოფლიოს ისტორია	ნ. ასათიანი, კიღურაძე, გ. სანიკიძე, ლ. ფირცხალავა	952	9.9	**9424.8**		**0**			**0**	**9424.8**
45				ინგლისური ენა - Friends 2/ს2	Carol Skinner, მ. თევზაძე, თ. ჩხეიძე, თ. ჯაფარიძე	377	11.9	**4486.3**	4.9	**1847.3**	ტესტი	1.9	**716.3**	**7049.9**
46				გერმანული ენა - Genial A1/ს1	Funk, Koenig, Koithan, Scherling	44	8.9	**391.6**	3.9	**171.6**			**0**	**563.2**
47				ინგლისური ენა - Friends 3/ს3	Carol Skinner, მ. თევზაძე, თ. ჩხეიძე, თ. ჯაფარიძე	611	11.9	**7270.9**	4.9	**2993.9**	ტესტი	1.9	**1160.9**	**11425.7**
48				გერმანული ენა - Genial A2/ს2	Funk, Koenig, Koithan, Scherling	87	8.9	**774.3**	3.9	**339.3**	ტესტი	2.9	**252.3**	**1365.9**
49				ინგლისური ენა - success pre-intermidiate/ს3/4	Stuart McKinlay, Bob Hasting, მ. თევზაძე, თ. ჩხეიძე, თ. ჯაფარიძე	404	14.9	**6019.6**	4.9	**1979.6**	ტესტი	1.9	**767.6**	**8766.8**
50				გერმანული ენა - Genial B1/ს3/4	Heman Funk, Michael Koenig, Ute Koithan, ე. შავერდაშვილი, მ. ახალკაცი	58	8.9	**516.2**	3.9	**226.2**	ტესტი	2.9	**168.2**	**910.6**
51				ინგლისური ენა - Success intermidiate/ს7	ს. მაკკინლი, ბ. ჰასტინგსი	165	14.9	**2458.5**	4.9	**808.5**	ტესტი	1.9	**313.5**	**3580.5**
52				გერმანული ენა - Optimal A1/ს1	Martin Mueller, Paul Rusch, Theo Scherling	100	8.9	**890**	3.9	**390**			**0**	**1280**
53				გერმანული ენა - Optimal A2/ს2	Martin Mueller, Paul Rusch, Theo Scherling, ე. შავერდაშვილი, მ. ახალკაცი	32	8.9	**284.8**	3.9	**124.8**	ტესტი	3.9	**124.8**	**534.4**
54				გერმანული ენა - Optimal B1/ს3/4	Heman Funk, Michael Koenig, Ute Koithan, ე. შავერდაშვილი, მ. ახალკაცი	82	11.9	**975.8**	5.9	**483.8**	ტესტი	3.9	**319.8**	**1779.4**
														395,431.54

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოადგილე

გიორგი ჩახნაშვილი

შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა-
ქართული ბიოგრაფიული ცენტრის" დირექტორი

თინათინ მამულაშვილი